საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

MIA 0 18 00486512

28/02/2018

უკონტაქტო პატრულირების განხორციელების სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „პოლიციის სარგებლობაში არსებულ შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ავტომატური ფოტო- და ვიდეოტექნიკის, არასტაციონარული (მოძრავი) სიჩქარის მზომი ხელსაწყოს განთავსებისა და გამოყენების, აგრეთვე მონაცემთა დამუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის №328 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №993 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საგზაო მოძრაობის ორგანიზების და საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე, გახშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და ვიდეოკამერების მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, განხორციელდეს უკონტაქტო პატრულირება ყოველდღიურად, 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე უწყვეტად, შემდეგ საგზაო მონაკვეთებზე:

ა) ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა (ორმხრივად, არაუმეტეს 8 კმ.);
ბ) ქ. თბილისი, ბარნოვი-აბაშიძის ქუჩა (ორმხრივად, არაუმეტეს 5.5 კმ.);
გ) ქ. ბათუმი, გორგილაძის ქუჩა (ორმხრივად, არაუმეტეს 5 კმ.);
დ) ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის ქუჩა (ორმხრივად, არაუმეტეს 5 კმ.);
ე) ქ. ქუთაისის შემოვლითი გზა (სამტრედიიდან ქუთაისისკენ, ცალმხრივად, არაუმეტეს 14 კმ.).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უკონტაქტო პატრულირების განხორციელების სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2017 წლის 04 ივლისის №1594478 ბრძანება.

3. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (info.police.ge).

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალურად გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, გულუას ქ. №10).

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი
დეპარტამენტის დირექტორი
თეიმურაზ კუპატაძე